

სამხარეო ადმინისტრაცია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს

20 თებერვალი 2019

შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯეგვანიშვილი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელს, ბეკა ძაძამიას შეხვდა. შეხვედრაზე შიდა ქართლში სოფლის მეურნეობის კუთხით განხორციელებული პროექტები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ასევე, ყურადღება გაამახვილეს რეგიონში სოფლის მეურნეობის კუთხით არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე. განიხილეს ის გეგმები, რომელიც შიდა ქართლში სამომავლოდ ერთობლივად უნდა განხორციელდეს და იმსჯელეს რეგიონში აგრარული მიმართულების განვითარების გაუმჯობესების გზებზე. რწმუნებულის თქმით, რეგიონს სოფლის მეურნეობის მიმართულებით დიდი პოტენციალი აქვს და საჭიროა კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა. ამ მიზნით კი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი მხრიდან რეკომენდაციების მიღება თუ გამოცდილების გაზიარება.

საქართველო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წევრი 1995 წელს გახდა. ორგანიზაციის მანდატი საქართველოში ითვალისწინებს ეროვნული ძალისხმევის მხარდაჭერას სურსათის უვნებლობის და სოფლის მეურნეობის, სატყეო და წყლის მართვის სექტორების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით.